

ა(ა)იპ „ფონდი კონსტანტა“

2016 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდების
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ „ფონდი კონსტანტა“

2016 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდების
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	12
2. მომზადების საფუძველი	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	13
4. მირითადი საშუალებები	20
5. მარაგები	21
6. ინვესტიციები სხვა საწარმოში	21
7. წმინდა გაცემული სესხები	21
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
9. საბანკო დეპოზიტები რეზიდენტ ბანკებში	22
10. ფული და ფულის ექვივალენტები	22
11. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	23
12. საპროცენტო შემოსავალი	24
13. სხვა შემოსავალი	25
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	25
15. გრანტის სახით გაწეული დაფინანსება	26
16. არასაოპერაციო შემოსავალი	26
17. მოგების გადასახადის ხარჯი	26
18. გაუნაწილებელი მოგება	26
19. რისკების მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი	27
20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	32
21. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	33
22. ბალანსის შემდგომი მოვლენები	33
23. ინფორმაცია სასამართლო დავებთან დაკავშირებით	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ ფონდი კონსტანტას გამგეობის წევრებს და თავმჯდომარეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ ა(ა)იპ ფონდი კონსტანტას (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2016 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლების სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსური ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საღრიცხვული მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღნიშნულა საკითხებისა და მათი გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ ფონდი კონსტანტას ფინანსურ მდგომარეობას 2016 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგების ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გაცემულ სესხებზე კომპანია არ ქმნის შესაძლო დანაკარგების რეზერვს.

კომპანია ფლობს ინვესტიციას მეკავშირე საწარმოში სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი. ბასს 28 - ის, „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ თანაბრძოლა ასეთი ინვესტიცია უნდა აღირიცხებოდეს კაპიტალ მეთოდით, რაც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულებით, ხოლო შემდგომში მისა ღირებულების გაზრდას ან შემცირებას, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგრამ პურილება ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტირის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგენაში ან ზარალში. კომპანიას ინვესტიცია აღრიცხული აქვს თვითღირებულებით 2017, 2016 და 2015 წლებში, 25 000 ლარის ოდენობით. კომპანიას ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში რომ აღერიცხა ბასს 28 - ის, „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ შესაბამისად, 2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიცია წარდგენილი იქნებოდა 15 168; 8 754 და 16 625 ლარის ღირებულებით წლების შესაბამისად, მოლოდინი სრული შემოსავალი / (ზარალი) 2017 წელს გაიზრდებოდა 6 413 ლარით, ხოლო 2016 და 2015 წლებში კი შემცირდებოდა შესაბამისად (7 871) და (8 375) ლარით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენთან

პეტრე ქაფარაძის ქ., I შესახვევი N 10, სართული 3, ოფისი 4
თბილისი 0186, საქართველო

ტელ: (995) (32) 2 48 37 39 | www.kreston.ge

აუდიტორული კომპანიების საერთაშორისო ქსელი

დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე“ ნიშანში.
ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ა(ა)იპ ფონდი კონსტანტასაგან ბუღალტერთა ეთიკის
საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის
კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ
ფინანსური ანგარიშების აუდიტს საქრთველოს იურისდიქციაში. გარდა ამისა,
შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებით. პლატფორმი
ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისა
ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესქმნელად.

მნიშვნალოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

თქვენს ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშების 23-ე ახსნა განმარტებით
შენიშვნაზე: „ინფორმაცია სასამართლო დავებთან დაკავშირებით“.

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 18 მარტს, პროკურატურის წარმომადგენლურმა
დააკავეს ფონდის გამეობის წევრი და ამავდროულად ბანკი კონსტანტას (ამ პერიოდისთვის
ფონდი წარმოადგენდა ბანკის აქციების 67.52% მფლობელს) გენერალური დირექტორი და
მუქარით დაითანხმეს მიეცა აღიარებითი ჩვენება, რის საფუძველზეც, თბილისის საქალაქო
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 19 მარტის განაჩენით, იგი ღმისას
იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 12 000 000 ლარის ოდენობით.
ფონდი კონსტანტა-პროკურატურის წარმომადგენელთა მხრიდან ზეწოლისა და მუქარის ჟურნალის
იძულებული გახდა მოხსდინა სს „ბანკი კონსტანტა“-ს აქციების რეალიზაცია ჯარიმის
გადახდის მიზნით. ფონდმა გაყიდა მის საკუთრებაში არსებული წილი (67.52%) და ამ
თანხით დაიფარა დაკისრებული ჯარიმა.

ა(ა)იპ ფონდი „კონსტანტა“-მ 2014 წლის 11 ნოემბერს შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო
სასამართლოში.

2016 წლის 7 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგიის გადაწყვეტილებით, ფონდი კონსტანტას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ა(ა)იპ ფონდი კონსტანტა-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასახიერა
თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2018 წლის 6 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის განჩინებით, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

2018 წლის 4 ივნისს, ა(ა)იპ ფონდი კონსტანტა-მ შეიტანა საკასაციო საჩივარი საქართველოს
უზენაეს სასამართლოში. ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ფონდი
„კონსტანტა“-ს წარმომადგენლები სასამართლოში, ვერ აფასებენ სარჩელის წარმატების
აღბათობას, თუმცა თვლიან რომ ობიექტურად გასათვალისწინებელია საქართველოს
უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა, რომლის თანახმად, მაგალითად, 2017 წელს,
სამოქალაქო დავებზე მხოლოდ შემთხვევათა 14,5 %-ში, ხოლო ადმინისტრაციულ დავებზე,
შემთხვევათა 6,8 %-ში გაუქმდა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრება მოდიფირებული არ არის.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ა(ა)იპ ფონდი კონსტანტას 2014 და 2015 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2016 წლის 12 ივლისს გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება ამ ანგარიშგების შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს ა(ა)იპ ფონდი კონსტანტას ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ა(ა)იპ ფონდი კონსტანტას ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიცოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია,

ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრას გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია ა(ა)იპ ფონდი კონსტანტას გამგეობისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით): გაუგზავნოს გამგეობის წევრებს ან/და განიხილოს გამგეობის საერთო კრებაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიდებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისათვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ

შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და კუსოვა
წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წილში.

აუდიტორად დანიშვნა


ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ ა(ა)იპ ფონდი კონსტანტასთან გაფორმებული 29 ივნისის ხელშეკრულების, ასევე 2018 წლის 10 ივლისის გარიგების წერილობის მიმათვის რომ ჩაგვეტარებინა 2016, 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აუდიტის გარიგებაში დაკავშირდებოდა უწყვეტი პერიოდი შეადგენს ორ წელს, რომელიც შესაბამისად 2016 და 2017 წლების დეკემბრით დასრულებულ წლებს მოიცავს.

გარდა ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურებისა, სხვა მარწმუნებული არამარწმუნებელი მომსახურების გაწევა ა(ა)იპ ფონდი კონსტანტასათვის არ მოიმუშავება დამოუკიდებლები ვიყავით ა(ა)იპ ფონდი კონსტანტასაგან, ჩვენი აუდიტის ჩატარების პროცესში.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგები პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით
პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10;
სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო
7 დეკემბერი 2018 წელი



2016 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდების
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2017	2016	2015
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	183,653	201,786	220,979
არამატერიალური აქტივი		-	-	570
მარაგები	5	3,206	591	245
ინვესტიციები სხვა საწარმოებში	6	25,000	25,000	25,000
გაცემული სესხები	7	2,466,976	2,244,958	2,044,351
საგადასახადო აქტივი		450	2,029	65,716
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,337	9,627	8,483
საბანკო დეპოზიტები რეზიდენტ ბანკებში	9	185,000	435,000	560,000
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	24,662	45,194	135,042
სულ აქტივები		2,890,284	2,964,185	3,060,386
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
დაგროვილი მოგება	18	2,862,250	2,933,579	3,023,885
სულ კაპიტალი		2,862,250	2,933,579	3,023,885
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		520	338	2,839
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	11	27,514	30,268	33,662
სულ ვალდებულებები		28,034	30,606	36,501
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		2,890,284	2,964,185	3,060,386

0 თებერვალი
გამგეობის თავმჯდომარე
თამარ ლებანიძე
30.11.2018
თბილისი

0 თებერვალი
მთავარი ზუღალტერი
ეკატერინე ცანავა
30.11.2018
თბილისი

2016 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდების
სრული შემოსავლების ანგარიშება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)


	შენიშვნა	2017	2016	2015
საპროცენტო შემოსავალი	12	421,182	405,389	244,930
სხვა შემოსავალი	13	-	5,400	6,608
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(450,556)	(467,462)	(497,626)
გრანტის სახით გაწეული დაფინანსება	15	(46,829)	(5,000)	-
საოპერაციო შემოსავალი/ (ზარალი)		(76,202)	(61,673)	(246,088)
არასაოპერაციო შემოსავალი	16	2,700	-	1,074
არასაოპერაციო ხარჯი		(60)	-	(503)
მოგება/(ზარალი) გადაფასებიდან, ნეტო		(522)	72	(559)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(74,084)	(61,601)	(246,076)
მოგების გადასახადი	17	2,754	3,394	(22,359)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(71,330)	(58,207)	(268,435)
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		(71,330)	(58,207)	(268,435)


გამგეობის თავმჯდომარე
თამარ ლებანიძე
30.11.2018
თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ეკატერინე ცანავა
30.11.2018
თბილისი

2016 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდების
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2015	3,292,321	3,292,321
წლის სრული შემოსავალი (ზარალი)	(268,435)	(268,435)
ნაშთი 31 დეკემბერი 2015	3,023,886	3,023,886
საგადასახადო აქტივის გასწორება ბარათთან	(32,099)	(32,099)
კორექტირებული ნაშთი 1 იანვარი 2016	2,991,787	2,991,787
წლის სრული შემოსავალი (ზარალი)	(58,207)	(58,207)
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	2,933,580	2,933,580
წლის სრული შემოსავალი (ზარალი)	(71,330)	(71,330)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	2,862,250	2,862,250


 გამგეობის თავმჯდომარე
 თამარ ლებანიძე
30.11 2018
 თბილისი


 მთავარი ბუღალტერი
 ეკატერინე ცანავა
30.11 2018
 თბილისი

2016 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდების
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2017	2016	2015
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე	(74,084)	(61,601)	(246,076)
არაფულადი ერთეულების კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	21,145	21,305	20,605
გაუფასურების ხარჯი	-	12,855	-
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	522	(72)	559
უსასყიდლოდ მიღებული წიგნები	(2,700)	-	-
საგადასახადო აქტივის კორექტირება	-	(32,099)	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში			
ცვლილებამდე	(55,117)	(59,612)	(224,912)
მარაგების (ზრდა)/კლება	86	(346)	151
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/კლება	8,289	(13,998)	15,997
საგადასახადო აქტივის (ზრდა)/კლება	1,579	63,687	(2,646)
საგადასახადო ვალდებულების ზრდა/(კლება)	-	-	(490,614)
სავაჭრო და სხვა ვალდებულების ზრდა/(კლება)	182	(2,501)	2,493
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,012)	(1,542)	(166,213)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-	(570)
სესხის გაცემა	(95,000)	(100,000)	(2,030,000)
სუბორდინირებული სესხის გაცემა	(125,000)	(100,000)	-
საპროცენტო შემოსავლის მოთხოვნის (ზრდა)/კლება	(2,018)	(607)	(14,350)
90 დღეზე მეტი ვადის მქონე დეპოზიტების (ზრდა)/კლება	250,000	125,000	2,997,500
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(20,010)	(89,920)	86,836
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	45,194	135,042	48,765
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	(522)	72	(559)
	24,661	45,194	135,042

გამგეობის თავმჯდომარე
თამარ ლებანიძე
30.11.2018
თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ეკატერინე ცანავა
30.11.2018
თბილისი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ფონდი კონსტანტა“ (შემდგომში ორგანიზაცია) დაფუძნდა 1997 წლის 31 იანვარს. საიდენტიფიკაციო კოდია - 211335474, მარეგისტრირებელი ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ცაგარელის ქ., N 53, სართ. 1.

ორგანიზაციის მმართველობის ორგანოა გამგეობა. გამგეობის წევრები არიან:

თავმჯდომარე/წევრი: 01024014985, თამარ ლებანიძე

წევრი: 01024009770, მანანა ჯახუა

წევრი: 01010008167, ნათელა თურნავა

წევრი: 01026001573, ლევან ლებანიძე (თავმჯდომარის მოადგილე)

წევრი: 01030006031, გელა ვარძიაშვილი

ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობაა პროექტების განხორციელება, რომლითაც დაეხმარება მცირე ფერმერებსა და მცირე მეწარმეებს მათი საქმიანობის განვითარებაში, რაც შესაბამისად, შემოსავლების ზრდასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში აისახება. ცხოვრების დონის ასევე, ქვეყანაში მცირე, საშუალო და დამწყები მეწარმეებისა და ფერმერებისათვის ფინანსური ცნობიერების ამაღლება.

2. მომზადების საფუძველი

(ა) ანგარიშგების შესაბამისობა

თანმხლები ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

(ბ) შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

(გ) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

„კომპანიის“ ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ასახავს შესაბამის ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული გარემოებების ეკონომიკურ არსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

(დ) დაშვებების და შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების

გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები კონვერტირდება „კომპანიის“ ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის შესაბამისი თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ლარში კონვერტაცია ხორციელდება ამ თარიღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზებულ ღირებულებასა (რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური პროცენტისა და გადახდების გათვალისწინებით პერიოდის განმავლობაში) და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (დაკონვერტირებულს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსით) შორის.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მოქმედ ვალუტაში კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც იზომება ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება ოპერაციის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

(ბ) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ბანკებში არსებული მიმდინარე ანგარიშებისაგან, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

I. კლასიფიკაცია

სესხები და დავალიანებები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსასაზღვრი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ სესხებისა და დავალიანებებისა:

- რომელთა გაყიდვასაც კომპანია სასწრაფოდ ან უახლოეს დროში აპირებს;
- რომელსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში;
- რომელსაც თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს როგორც ხელმისაწვდომს,
- როდესაც კომპანია ვერ ახდენს პირველადი ინვესტიციების სრულად აღდგენას, გარდა კრედიტუნარიანობის გაუარესების მიზეზისა.

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამის კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების დროს.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სესხების კატეგორიაში. ფინანსური აქტივები მოიცავს გაცემულ სესხებს, ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებს და სხვა აქტივებს.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

II. აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში წარმოებს იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია გახდება ინსტრუმენტან დაკავშირებული ხელშეკრულების მხარე.

III. შეფასება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის იმ დანახარჯების დამატებით (იმ აქტივების ან ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არიან აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით), რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები და სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით.

IV. ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მირითადი გადასახდელი თანხების გამოკლებით, აკუმულირებული ამორტიზაციის მიმატებით, ან გამოკლებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით,

თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვისდროინდელ ღირებულებას შორის წებისმიერ სხვაობასთან მიმართებაში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით.

V. სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპები

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით, რომელზეც აქვს წვდომა „კომპანიას“ და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს შეუსრულებლობის რისკს.

როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებენ მხედველობაში.

თავდაპირველად აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკონპენსაციო თანხის სამართლიანი ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისაგან, და სამართლიანი ღირებულება არ დასტურდება იდენტურ აქტივზე ან ვალდებულებაზე მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს; ასეთ შემთვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. წებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით თავდაპირველი წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

VI. მოგება ან ზარალი შემდგომი შეფასებისას

მოგება ან ზარალი სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივისათვის აისახება მოგებაში ან ზარალში, როცა წყდება ფინანსური აქტივი ან ვალდებულების აღიარება ან მისი გაუფასურება, და ამორტიზაციის პროცესში.

VII. აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა კომპანია გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა კომპანია არც გადასცემს და არც იტოვებს გადაცემული აქტივის კონტროლის უფლებას. გადაცემულ ფინანსურ აქტივში (რომელიც ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას) დარჩენილი ნებისმიერი წილი, რომელიც იქმნება ან რჩება „კომპანიაში“, აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება, ან იწურება.

კომპანია ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომელთა გადახდა უიმედოდ არის მიჩნეული.

VIII. ჩათვლა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ჩათვლილი და ნეტო თანხით წარმოდგენილი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი უფლება, რომ ჩათვლილ იქნას აღიარებული თანხები და არის ურთიერთჩათვლის განზრახვა, ან არსებობს ვალდებულების დაფარვისა და აქტივის რეალიზაციის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

(დ) ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში ან ხდება მათი აღრიცხვა (აღიარება) ცალკეულ აქტივად იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ მომავალში ამ აქტივის გამოყენებით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის სარწმუნო (რეალური) ღირებულების შეფასება შესაძლებელია. აქტივების შენახვისა და რემონტის (შეკეთების) ღირებულება აისახება შემოსავლების უწყისში მათი წარმოჩენის პერიოდების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით, შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით.

შენობა-ნაგებობები ----- 2%

სატრანსპორტო საშუალებები ----- 20%

საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა ---- 20%

ავეჯი და ინვენტარი ----- 20%

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

(ე) არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივად აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ:

- ამ აქტივის გამოყენებით კომპანია მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
- შესაძლებელია ამ აქტივის სარწმუნო (რეალური) შეფასება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდით, გამოყენების პერიოდის მიხედვით.

(ვ) კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

კრედიტორული დავალიანება, რომლის დაფარვის ვადა ანგარიშგების შედგენის თარიღიდან 1 წელზე მეტია, აისახება, როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

(ზ) კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს აკუმულირებულ მოგება(ზარალს).

(თ) დაბეგვრა

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რომელიც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებას.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი არის მოსალოდნელი გადასახადი წლის დასაბეგრ შემოსავალზე, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც მოქმედებენ ან არსებითად მოქმედებენ საანგარიშგებო თარიღისთვის და აგრეთვე, წინა წლებში გადახდილი ნებისმიერი გადასახადის კორექტირებით.

გადავადებული გადასახადის დათვლა ხდება იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებსაც ადგილი აქვთ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის.

გადავადებული გადასახადისა და ვალდებულებების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებსაც კომპანია მოელის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა ანაზღაუროს ან დაფაროს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ხდება საგადასახადო განაკვეთის მიხედვით, რომელიც სავარაუდოდ დროებითი სხვაობების მიმართ გამოიყენება მათი ცვლილებისას ანგარიშების თარიღისთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული კანონების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მომავალში დასაბეგრი შემოსავლების მიღების ალბათობა, რომლის მიმართაც შესაძლო იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და კრედიტის გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები მცირდება, თუ აღარ არსებობს მოლოდინი იმისა, რომ მოხდება შესაბამისი საგადასახადო შეღავათის რეალიზება.

(ი) შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების საკომისიო და სხვა საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენენ სესხის მთლიანი შემოსავლების განუყოფელ ნაწილს, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, ექვემდებარებიან გადავადებას და ამორტიზაციას საპროცენტო შემოსავლის მიმართ, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნებლი სარგებლიანობის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა მოსაკრებლების, საკომისიოებისა და სხვა შემოსავლის და ხარჯის მოგებაში ან ზარალში აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

(კ) ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას. ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში. ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 კომპანიას სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. ორგანიაციას ჯერ არ შეუფასება აღნიშნული ცვლილების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ა(ა)იპ ფონდი „კონსტანტა“
(ციფრული ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები	კომპ. ტექნიკა და საკომუნიკაციო მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავაზი და მოწყობილობები	სულ
საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 31.12.2015 მდგომარეობით	155,742	11,364	62,938	13,060	243,105
შემოსვლა	-	1,399	-	143	1,542
ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	155,742	12,763	62,938	13,203	244,647
შემოსვლა	-	4,789	-	-	4,789
გასვლა	-	(1,777)	-	-	(1,777)
ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	155,742	15,775	62,938	13,203	247,659
აკუმულირებული ცვეთა					
ნაშთი 31.12.2015 მდგომარეობით	2,146	2,141	15,193	2,645	22,126
პერიოდის ცვეთა	3,115	2,420	12,588	2,613	20,735
ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	5,261	4,561	27,781	5,258	42,861
პერიოდის ცვეთა	3,115	2,802	12,588	2,640	21,145
ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	8,375	7,363	40,368	7,899	64,006
წმინდა საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 31.12.2015 მდგომარეობით	153,597	9,223	47,745	10,414	220,979
ნაშთი 31.12.2016 მდგომარეობით	150,482	8,202	35,158	7,944	201,786
ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	147,367	8,412	22,570	5,304	183,653

5. მარაგები

საკუთარი მოხმარებისთვის საჭირო მარაგი
 ა/მანქანის საწვავი და რეცხვის ტალონები
 პროექტის ფარგლებში გასაცემი წიგნები
 სადემონსტრაციო წიგნი „გზა ფერმერობისკენ“
სულ

	2017	2016	2015
	506	591	245
	2,700	-	-
სულ	3,206	591	245

6. ინვესტიციები სხვა საწარმოში

ინვესტიცია ს.ს. „მაიკრო ფინი“-ს საწესდებო
 კაპიტალში

	2017	2016	2015
	25,000	25,000	25,000
სულ ინვესტიციები სხვა საწარმოში	25,000	25,000	25,000

7. წმინდა გაცემული სესხები

ძირითადი თანხა - სესხები დაკავშირებულ
 მხარეზე
 ძირითადი თანხა - სუბორდინირებული სესხები
 დაკავშირებულ მხარეზე
სულ გაცემული სესხები - ძირითადი თანხა

	2017	2016	2015
	2,225,000	2,130,000	2,030,000
	225,000	100,000	-
სულ გაცემული სესხები - ძირითადი თანხა	2,450,000	2,230,000	2,030,000
მისაღები % - სესხები დაკავშირებულ მხარეზე	15,836	14,898	14,351
მისაღები % - სუბორდინირებული სესხები დაკავშირებულ მხარეზე	1,141	60	-
გაუფასურების რეზერვი	-	-	-
კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	2,466,976	2,244,958	2,044,351

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017	2016	2015
მისაღები პროცენტები ბანკებში განთავსებული სახსრების მიხედვით	227	1,414	1,239
მოთხოვნები სასამართლოზე გადაცემულ მსესხებელთა მიმართ	12,855	12,855	5,850
მომსახურე იურიდიულ პირებზე გადახდილი ავანსები	1,110	8,213	1,395
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება	(12,855)	(12,855)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,337	9,627	8,483

9. საბანკო დეპოზიტები რეზიდენტ ბანკებში

	2017	2016	2015
ვადასი დეპოზიტები რეზიდენტ კომერციულ ბანკებში	185,000	435,000	560,000
სულ	185,000	435,000	560,000

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017	2016	2015
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ კომერციულ ბანკებში	23,856	44,121	134,024
უცხოური ვალუტა რეზიდენტ კომერციულ ბანკებში	805	1,073	1,018
სულ	24,662	45,194	135,042

ა(ა)იპ ფონდი „კონსტანტა“

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები**11. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება****ა) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები**

ფინანსური ანგარიშების მიზნებისთვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ნაშთებსა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობა წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2017 წელში ა(ა)იპ ფონდი კონსტანტასთვის დროებითი დაქვითვადი სხვაობები არ იწურება მიმდინარე საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე. არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების მოგების გადასახადით დაბევრის ესტონურ მოდელზე გადასვლა მოხდება 2019 წლიდან და შესაბამისად აღნიშნული მომენტისთვის კომპანიის დარჩენილი გადავადებული ვალდებულებაც გაუქმდება.

ქვემოთ წარმოდეგნილია მომრაობები დროებით სხვაობებში 2017 წლის სამურნეო პერიოდის განმავლობაში:

ნაშთი 31.12.14	აღიარებული მოგება/ ზარალში 2015	ნაშთი 31.12.15	აღიარებულ ი მოგება/ ზარალში 2016	ნაშთი 31.12.16	აღიარებულ ი მოგება/ ზარალში 2017	ნაშთი 31.12.17
(11,305)	(22,356)	(33,662)	3,394	(30,268)	2,720	(27,548)
-	-	-	-	-	34	34
(11,305)	(22,356)	(33,662)	3,394	(30,268)	2,754	(27,514)

ა(ა)იპ ფონდი „კონსტანტა“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ბ) აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის პერიოდის:

	აქტივები	ვალდებულებები	წმინდა
	2017	2017	2017
ძირითადი საშუალებები	-	(27,548)	(27,548)
ვალდებულებები	34	-	34
წმინდა საგადასახადო			
აქტივები/(ვალდებულებები)	34	(27,548)	(27,514)

	აქტივები	ვალდებულებები	წმინდა
	2016	2016	2016
ძირითადი საშუალებები	-	(30,268)	(30,268)
ვალდებულებები	-	-	-
წმინდა საგადასახადო			
აქტივები/(ვალდებულებები)	-	(30,268)	(30,268)

12. საპროცენტო შემოსავალი

	2017	2016	2015
პროცენტული შემოსავლები რეზიდენტ ბანკებში განთავსებული სახსრების მიხედვით	395	3,160	4,517
ვადიანი დეპოზიტებიდან პროცენტული შემოსავლები რეზიდენტ ბანკებში განთავსებული სახსრების მიხედვით	15,867	28,327	125,318
პროცენტული შემოსავლები დაკავშირებულ მხარეზე გაცემული გრძელვადიანი სესხების მიხედვით	404,921	373,903	115,095
სულ საოპერაციო შემოსავლები	421,182	405,389	244,930

**ა(ა)ია ფონდი „კომპტურტა“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ციფრული ცხრილებში მოცემულია ლარში)**

13. სხვა შემოსავალი

	2017	2016	2015
შემოსავალი ტრენინგების ჩატარებიდან	-	5,400	6,608
სულ სხვა შემოსავალი	-	5,400	6,608

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016	2015
ხელფასის ხარჯი	313,424	331,119	330,688
იურიდიული მოსახურების ხარჯი	29,167	27,231	36,261
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	21,145	21,305	20,605
მიღებულ პროცენტებზე წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი	20,145	18,665	5,200
მივლინების ხარჯი	16,729	1,268	39,545
საწვავის ხარჯი	9,820	7,598	11,617
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	9,600	9,600	5,600
საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიის ხარჯი	7,759	-	-
საგადასახადო ხარჯი	6,671	2,121	2,227
ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯი	2,880	2,880	2,007
კომუნალური ხარჯები	2,095	2,008	1,880
კომუნიკაციის ხარჯები	1,506	1,574	1,226
ბანკის საკომისიო	531	299	562
ტრეინინგის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები	-	11,783	3,865
აუდიტორული მოსახურების ხარჯი	-	5,310	-
საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	-	12,855	-
თანამშრომელთა სწავლების ხარჯი	-	-	7,481
იჯარის ხარჯი	-	-	7,282
ბაზრის კვლევის ხარჯები	-	-	7,001
საწევრო შენატანები	-	-	2,400
რეკლამის ხარჯი	-	750	334
სხვა ხარჯები	9,085	11,095	11,845
450,556	467,462	497,626	

**ა(ა)იპ ფონდი „კონსტანტა“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)**

15. გრანტის სახით გაწეული დაფინანსება

	2017	2016	2015
მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება	-	5,000	-
ფერმერთა სახელმძღვანელოს დამზადების და შემენის ხარჯები სულ სხვა შემოსავალი	46,829	-	-
	46,829	5,000	-

16. არასაოპერაციო შემოსავალი

	2017	2016	2015
შემოსავალი უსასყიდლოდ მიღებული წიგნების სახით	2,700	-	1,074
სულ სხვა შემოსავალი	2,700	-	1,074

17. მოგების გადასახადის ხარჯი

	2017	2016	2015
მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი მიმდინარე საგადასახადო ხარჯი	-	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი დროებითი სხვაობების წარმოშობისა და ამოწურვის შედეგად	2,754	3,394	(22,359)
სულ მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი	2,754	3,394	(22,359)

18. გაუნაწილებელი მოგება

კომპანიის გაუნაწილებელი მოგება წარმოქმნილია 2014 წელს სს თიბისი ბანკთან მორიგებით
დასრულებულ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ჩარიცხული თანხით.

19. რისკების მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი

კომპანიის წინაშე არსებული მირითადი რისკებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება და ანალიზი, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად.

საბაზრო რისკი

რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო ფასების ცვლილებების ზემოქმედებით. საბაზრო რისკი სამი ტიპის რისკისაგან შედგება: სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და სხვა ფასების რისკი.

ა) სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სავალუტო კურსის ცვლილებების ზემოქმედებით.

კომპანია არ დგას სავალუტო რისკის წინაშე, რადგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ აქვს აქტივების ან ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაშთი უცხოურ ვალუტაში.

ბ) საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების ზემოქმედებით.

კომპანია დგას აღნიშვნული რისკის წინაშე, რადგან მას აქვს გაცემული სესხები, რომლებიც მიმღვლია ეროვნულ ბანკის 180 დღიან სადეპოზიტო სერტიფიკატების საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთზე, თუმცა მენეჯმენტი არ მოელის ამ კუთხით მნიშვნელოვან უარყოფით ცვლილებებს.

გ) სხვა ფასების რისკი რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო ფასების ცვლილებების ზემოქმედებით (გარდა საპროცენტო განაკვეთის რისკით ან სავალუტო რისკით გამოწვეული ცვლილებებისა), იმის მიუხედავად, რა იწვევს ამ ცვლილებებს - ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტისთვის ან მისი ემიტენტისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები, თუ სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ბაზარზე მიმოქცევად ყველა მსგავს ფინანსურ ინსტრუმენტზე.

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2016 და

2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. ეს საპროცენტო განაკვეთები ასახავენ ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვამდე შემოსავლიანობის მიახლოებით მაჩვენებელს.

საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები 2017	თანხა	%
სს „მაიკრო ფინი“-ზე გაცემული სესხები	2,225,000	16.93%
სს „მაიკრო ფინი“-ზე გაცემული	225,000	21.93%
სუბორდინირებული სესხები		
სულ	2,450,000	17.39%

საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები 2016	თანხა	%
სს „მაიკრო ფინი“-ზე გაცემული სესხები	2,130,000	16.93%
სს „მაიკრო ფინი“-ზე გაცემული	100,000	21.93%
სუბორდინირებული სესხები		
სულ	2,230,000	17.15%

შენიშვნა: ა.ა.ი.პ. ფონდ კონსტანტას აქვს 2 ტიპის გაცემული სესხები

1) გაცემული ს.ს. მაიკროფინზე 2015 წლის 15 თებერვლის 2,225,000 ლარიანი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით (31.12.17 -სთვის ათვისებულია სრულად 25 ქვესესხად).

სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადენს ეროვნული ბანკის 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატის საშუალო შეწონილ განაკვეთს დამატებული მარჟა 7,06%. სესხის პროცენტის გადახედვა ხდება წელიწადში ერთხელ, იანვრის თვეში, წინა წლის დეკემბრის თვეში 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატის საშუალო შეწონილი განაკვეთის ბაზაზე.

2) გაცემული ს.ს. მაიკროფინზე 2016 წლის 28 თებერვლის 225,000 ლარიანი სუბორდინირებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით (31.12.17 -სთვის ათვისებულია სრულად 3 ქვესესხად).

სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ეროვნული ბანკის 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატის განაკვეთს დამატებული მარჟა 12,06%.

სესხის პროცენტის გადახედვა ხდება წელიწადში ერთხელ, იანვრის თვეში, წინა წლის დეკემბრის თვეში 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატის საშუალო შეწონილი განაკვეთის ბაზაზე.

ორივე ხელშეკრულებაში აღნიშნულია შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ს.ს. მაიკროფინმა ყოველი თვის ბოლოსათვის. ეს კოეფიციენტებია:

**ა(ა)ს ფონდი „კომიტენტა“
ფინანსური ანგარიშების შენიშვნები
(ციფრული ცხრილებში მოცემულია ლარში)**

- 1) გაცემული სესხის ვადაგადაცილების კოეფიციენტი
- 2) რისკის დაზღვევის კოეფიციენტი
- 3) ჩამოწერის კოეფიციენტი
- 4) რისკის ქვეშ მყოფი მთლიანი საკრედიტო პორტფელი
- 5) უკუგება კაპიტალზე

ხელშეკრულების მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი კოეფიციენტების დარღვევა ჩაითვლება ხელშეკრულების არსებით დარღვევად. ეს კი აძლევს გამსესხებელს უფლებას, რომ თუ მსესხებელი ვერ შეძლებს ლოგიკურ დროში პრობლემის აღმოფხვრას, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მსესხებელს ხელშეკრულების შეწყვეტის დღისთვის არსებული ვალდებულების სრულად და დაუყოვნებლივ შესრულება.

2016 წლის დეკემბრის თვის ბოლო მონაცემებით ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების საშუალო შეწონილი განაკვეთი 2015 წლის დეკემბერთან შედარებით შემცირდა 9,87%-დან 6,97%-მდე. ამას უნდა გამოეწვია 2017 წლიდან ს.ს. მაიკროფინზე გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება. თუმცა, ს.ს. „მაიკროფინი“-მა ვერ შეძლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა კოეფიციენტის დაცვა.

მხარეებმა 2017 წლის 5 იანვარს გააფორმეს შეთანხმება, რომლის მიხევითაც, იმის გამო, რომ ს.ს. „მაიკროფინი“-მა ვერ შეძლო ფინანსური კოეფიციენტების დაცვა, რაც ზრდის გამსესხებლის რისკს და აძლევს მას სესხების ვადამდე გამოთხოვის უფლებას, საპროცენტო განაკვეთი კვლავ განისაზღვროს 2015 წლის დეკემბრის თვეში 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატის საშუალო შეწონილი განაკვეთის ბაზაზე. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფინანსურ კოეფიციენტებს, რაც დადასტურდება მსესხებლის ანგარიშით, მხარეები დამატებითი შეთანხმების საფუძველზე კვლავ გადახედავენ ხელშეკრულებით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის დაფიქსირების საკითხს.

იგივე სახის შეთანხმება გააფორმეს მხარეებმა 2018 წლის 5 იანვარსაც.

(გ) საკრედიტო რისკი

რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს.

კომპანიას შემუშავებული აქცის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები. იგი მაღალრისკიან პროდუქტებს უპირისპირებს მაღალ საპროცენტო განაკვეთს. მის მიერ გაცემულ სუბორდინირებულ სესხებს ერიცხება 5%-ით მეტი სარგებელი, ვიდრე სტანდარტულებს.

გარდა ამისა, სესხით სარგებლობის განმავლობაში ის მსესხებელს სთხოვს ყოველთვიურ ჭრილში ფინანსური კოეფიციენტების დაცვას, რაც ამცირებს მის რისკს. ხოლო კოეფიციენტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც ზრდის გამსესხებლის რისკს, ითხოვს შესაბამის პრემიას.

ა(ა) ამ ფორმით უკონსტანტუ
ფინანსური ანგარიშებების შენიშვნები
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

(დ) ლიკვიდობის რისკი

რისკი იმისა, რომ საწარმო სიძნელეებს წააწყდება ისეთ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც იფარება ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემით.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა ან/და მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა ტრანზაქციების მრავალფეროვნებიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე იშვიათია. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც. კომპანია მართავს ლიკვიდურობას, უზრუნველყოფს რა ხელმისაწვდომ თანხებს ნებისმიერ დროს ვადადამდგარი, ნალდ ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	მოთხოვნამდე და 3 თვეზე ნაკლები	3 თვეზე მეტი და 1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული აქტივები				
ფული და მათი ექვივალენტები	24,662	-	-	24,662
გაცემული სესხები	-	-	2,450,000	2,450,000
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	-	175,000	-	175,000
მისაღები პროცენტები ბანკებში განთავსებული სახსრების მიხედვით	227	-	-	227
სულ აქტივები	24,889	175,000	2,450,000	2,649,889

არაწარმოებული ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები	520	-	-	520
სულ ვალდებულებები	520	-	-	520
წმინდა პოზიცია	24,369	175,000	2,450,000	2,649,369

ა/ა) იატ ფონდი „კონსტანტა“
 ფინანსური ანგარიშების მენივენები
 (ციფრები ცხრილუბრი მოცემულია ლარში)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2016 წელი	მოთხოვნამდე და 3 თვეზე ნაკლები	3 თვეზე მეტი და 1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული აქტივები				
ფული და მათი ექვივალენტები	45,194	-	-	45,194
გაცემული სესხები	-	-	2,230,000	2,230,000
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	-	435,000	-	435,000
მისაღები პროცენტები ბანკებში განთავსებული სახსრების მიხედვით	14,958	-	-	14,958
სულ აქტივები	60,152	435,000	2,230,000	2,725,152
არაწარმოებული ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	338	-	-	338
სულ ვალდებულებები	338	-	-	338
წმინდა პოზიცია	59,814	435,000	2,230,000	2,724,814

აცხ/იპ ფონდი კუნძულის

(ოფიციალური ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

III. ტრანზაქციები და კავშირებულ მხარეებთან

კომისაობის ფლობს 10%-იან წილს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს „მაიკროფინი“-ში. ასევე, კომისანის მმართველი პერსონალი მართავს სს „მაიკროფინი“-ს და სს „კონსტანტა“ -ს. თუმცა ტრანზაქციები აქვს მხოლოდ სს „მაიკროფინი“ -სთან.

ჰალმიული სესხები
ჰემით მოცემულია საანგარიშებო პერიოდის ნაშთები და ბრუნვები:

	31.12.2015	სესხის გაცემი/ პროცენტის დარიცხვა	სესხის/ პროცენტის დაფარვა		31.12.2016	სესხის გაცემი/ პროცენტის დარიცხვა	სესხის/ პროცენტის დაფარვა	31.12.2017
სტანდარტული სესხი	2,030,000	100,000	-		2,130,000	95,000	-	2,225,000
სუბორდინირებული სესხი	-	100,000	-		100,000	125,000	-	225,000
მისაღები % - სესხებზე	14,351	373,903	373,295		14,959	404,921	402,903	16,977
სულ წმინდა სესხები	2,044,351	573,903	373,295		2,244,959	624,921	402,903	2,466,977

ხელფასი

ჰემით მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2016-2017 წლებში მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებზე დარიცხული და გაცემული ხელფასები:

	2017	2016	2015
დარიცხული და გადახდილი ხელფასები მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებზე	216,078	203,221	214,638
სულ	216,078	203,221	214,638

21. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ა(ა)იპ ფონდი კონსტანტა ახორციელებს აქტივობებს სამი ძირითადი მიმართულებით:

1. ფინანსების ხელმისაწვდომობა მიკრომეწარმეთათვის,
2. მცირე მეწარმე ქალების დახმარება კონსულტაციებითა და მცირე გრანტებით და
3. მცირე ფერმერთა ხელშეწყობა.

2018 წლის განმავლობაში ფონდი აგრძელებს მუშაობას ზემოთჩამოთვლილი მიმართულებებით. ფონდი აქტიურად ეხმარება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს მაკროფინს, რათა მან შეძლოს მიკრო მეწარმეების დაფინანსება პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპით. ფონდის თანამშრომლები აქტიურ კონსულტაციებს უწევენ სს მაკროფინს მენეჯმენტს.

ფონდი აქტიურად თანამშრომლობს „საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან“ და ერთობლივი ძალებით გამოსცემს წიგნს „გზა ფერმერობისაკენ“ მეორე ნაწილს.

2018 წლის განმავლობაში აქტიური შეხვედრები და კონსულტაციები მიმდინარეობს დონორებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, რათა განახლდეს მცირე გრანტების პროექტი მეწარმე ქალებისათვის.

ფონდი ამ აქტივობების გაგრძელებას გეგმავს 2018, 2019 წლებში.

ფონდი კონსტანტას შემოსავლები 2018 წლის განმავლობაში შედგება სს მაკროფინსათვის მიცემული სესხიდან საპროცენტო შემოსავლებით, რაც ფონდს აძლევს საშუალებას შეუფერხებლად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები.

22. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენებს:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საზოგადოების მიერ გამოშვებული იყო 250 000 ჩვეულებრივი აქცია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით. აქციების 90%(225 000 აქცია) ეკუთვნოდა ს.ს. კონსტანტას, ხოლო 10%(25 000 აქცია) ა(ა)იპ ფონდ კონსტანტას. შესაბამისად, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგინდა 250 000 ლარს. „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ევალებათ საზედამხედველო კაპიტალის შევსება 1 000 000 ლარამდე. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, საზედამხედველო კაპიტალის შევსება უნდა მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა – 2018 წლის 31 დეკემბრამდე;

ბ) არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა – 2019 წლის 30 ივნისამდე.

აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, საზოგადოების აქციონერებმა: სს კონსტანტამ და ა(ა)იპ ფონდი კონსტანტამ, 2018 წლის 15 აგვისტოს, აქციონერთა კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება გაეზარდათ საწესდებო კაპიტალი. საზოგადოებამ გამოუშვა დამატებით 65 000 ცალი ჩვეულებრივი აქცია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით, რომელიც შეიძინა სს კონსტანტამ და 225 000 ცალი პრივილეგირებული აქცია 1 ლარის ნომინალური

**ა(ა)იპ ფონდი „კუნძულები“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ციფრული ცხრილებში მოცემულია ლარში)**

ღირებულებით, რომელიც ფონდმა მიიღო სს მაიკროფინზე გაცემული სუბორდინირებული სესხის (225 000 ლარი) მაიკროფინის კაპიტალში გადატანის სანაცვლოდ.

ცვლილებების შემდეგ კომპანიის აქციონერებს შორის აქციების გადანაწილება შემდეგნაირია:

სს კონსტანტა ფლობს ჩვეულებრივი აქციების (315 000 ცალი აქცია) 92,06%-ს, ხოლო ა(ა)იპ ფონდი კონსტანტა ფლობს ჩვეულებრივი აქციების 7,94%-ს და პრივილეგირებული აქციების (250 000 ცალი აქცია) 100%-ს.

ინფორმაცია ბალანსის შემდგომ პერიოდში სასამართლო დავების მიმდინარეობასთან დაკავშირებით იხილეთ #23 შენიშვნაში.

23. ინფორმაცია სასამართლო დავებთან დაკავშირებით

ა(ა)იპ ფონდ კონსტანტას აქვს სამართლებრივი დავა საქართველოს მთავარ პროკურატურასთან. ფონდი პროკურატურას ედავება 11 477 799 ლარს. მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 18 მარტს, პროკურატურის წარმომადგენლებმა დააკავეს ფონდის გამგეობის წევრი და ამავდროულად ბანკი კონსტანტას (ამ პერიოდისთვის ფონდი წარმოადგენდა ბანკის აქციების 67.52% მფლობელს) გენერალური დირექტორი და მუქარით დაითანხმეს მიეცა აღიარებითი ჩვენება, რის საფუძველზეც, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგის 19 მარტის განაჩენით, იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 12 000 000 ლარის ოდენობით. ფონდი კონსტანტა პროკურატურის წარმომადგენელთა მხრიდან ზეწოლისა და მუქარის ქვეშ იმულებული გახდა მოხედინა სს „ბანკი კონსტანტა“-ს აქციების რეალიზაცია ჯარიმის გადახდის მიზნით. ფონდმა გაყიდა მის საკუთრებაში არსებული წილი (67.52%) და ამ თანხით დაიფარა დაკისრებული ჯარიმა.

ა(ა)იპ ფონდი „კონსტანტა“-მ 2014 წლის 11 ნოემბერს შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2016 წლის 7 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილებით, ფონდი კონსტანტას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ა(ა)იპ ფონდი კონსტანტა-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2018 წლის 6 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2016 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

2018 წლის 4 ივნისს, ა(ა)იპ ფონდი კონსტანტა-მ შეიტანა საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ფონდი „კონსტანტა“-ს წარმომადგენლები სასამართლოში, ვერ აფასებენ სარჩელის წარმატების ალბათობას, თუმცა თვლიან რომ ობიექტურად გასათვალისწინებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა, რომლის თანახმად, 2017 წელს, სამოქალაქო დავებზე მხოლოდ შემთხვევათა 14,5 %-ში, ხოლო ადმინისტრაციულ დავებზე, შემთხვევათა 6,8 %-ში გაუქმდა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ა(ა)იპ ფონდი კონსტანტასთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი დავა, რომელიც ფონდის ისტორიულ დამფუძნებელსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის მიმდინარეობს. სასამართლოში ფონდის წარმომადგენლის განმარტებით, დამფუძნებელმა მიმართა საჯარო რეესტრს, და მოითხოვა მის მიერ შედგენილი ოქმის საფუძველზე, ააიპ ფონდი კონსტანტას სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანა და მისი დანიშვნა ფონდის ხელმძღვანელად, რაზედაც მიიღო უარი, რადგან ფონდის მოქმედი წესდების თანახმად, ფონდის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანო არის გამგეობა და მისი გადაწყვეტილება. აღნიშნული დავა გაგრძელდა სასამართლოში. 2017 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით, საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დამფუძნებლის სარჩელი. მოსარჩელემ წარადგინა სააპელაციო საჩივარი. სასამართლოში ა(ა)იპ ფონდი კონსტანტას წარმომადგენლის განცხადებით, სარჩელს არ აქვს წარმატების ხელშესახები ალბათობა. წარმომადგენლის განცხადებით, ფონდის დამფუძნებლებმა გამგეობის წევრებს სრულად გადასცეს ფონდის მმართველობა და ფონდის დამფუძნებლობა არის მხოლოდ ისტორიული სტატუსი.